საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 18 06/03/2017

ხარაგაულის მუნიციპალტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.თ“ ქვეპუნქტის , საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მე-13 მუხლის 1^1 პუნქტისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე-V^1თავის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა

მუხლი 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო”.

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს აღნიშნული განკარგულების ძალაში შესვლიდან 7 დღის ვადაში უზრუნველყოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის ფორმირება საბჭოს სხდომის მოწვევა.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე



საკრებულოს თავმჯდომარე